ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა დეპარტამენტი

პროფესორი ნატო ნაკუდაშვილი
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი ირინე კეკელიძე



ასისტენტ-პროფესორი მარინე ცაბაძე

ვენერა დავითულიანი
ლაბორანტი

ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა დეპარტამენტი

კათედრა დაარსდა 1926 წელს, 1921 წელს შექმნილი შესაბამისი კურსის კათედრად რეფორმირების შედეგად. კათედრის გამგეები იყვნენ პროფესორები: ნიკოლოზ ასპისოვი, რომელიც ხელმძღვანელობდა მას 1952 წლამდე, არჩილ ჩარგეიშვილი (1952-1971), თამაზ თოხაძე (1972-1993), რევაზ ხეჩინაშვილი (1993-1999), 1999 წლიდან კათედრის გამგე, 2006 წლიდან დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფესორი შოთა ჯაფარიძე, 2015 წლიდან დღემდე პროფესორი მიხეილ ჯაში. ორიგინალური გამოკვლევები, რომლებიც ჩატარებულია კათედრაზე, მიეძღვნა ყურზე ოპერაციების შემდეგ სმენისა და ვესტიბულური ფუნქციების აღდგენის პრობლემას, ვესტიბულური აპარატის ცივი ჰაერის ნაკადით გამოკვლევის მეთოდის შემუშავებას, ეეგ-მეთოდის გამოყენებას სმენის ფუნქციის დარღვევისა და ტვინის ოტოგენური აბსცესის სადიაგნოზოდ, ტიმპანოპლასტიკის მეცნიერულ დამუშავებას, ტროპიკული მალარიის დროს შიგა ყურის ჰისტომორფოლოგიური ცვლილებების დადგენას, სმენის ანალიზატორზე აფეთქების შედეგად გამოწვეული ტალღისმიერი ბგერების მოქმედების შესწავლას, ინტერფერონის როლის გამოკვლევას ხახის ლიმფოიდური აპარატის ანტივირუსული იმუნიტეტის გამომუშავებაში, ცხვირიდან სისხლდენის მკურნალობის პრობლემას, ლაბირინთული და რეტროლაბირინთული

დაზიანების დიაგნოსტიკას ელექტრონისტაგმოგრაფიული და აუდიოლოგიური მეთოდების გამოყენებით.
ყელყურ-ცხვირის სნეულებათა დეპარტამენტს შემუშავებული აქვს დიპლომამდელი და სარეზიდენტო პროგრამები. დეპარტამენტის სამეცნიერო მუშაობის მიმართულებაა “ბოჭკოვანი ოპტიკისა და მიკროსკოპული ოპტიკის გამოყენება ცხვირისა და მისი დანამატი წიაღების დაავადებების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში”.
ამჟამად დეპარტამენტი განაგრძობს პრაქტიკულ და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას შემდეგი მიმართულებებით:, ცხვირის ფუნქციური ენდოსკოპიური ქირურგიის მეთოდების გამოყენება, დიოდ-ლაზერის გამოყენება ოტორინოლარინგოლოგიაში, კოქლეარული იმპლანტაციის თანამედროვე მეთოდები და სმენის ანალიზატორის ფუნქციის შესწავლის ახალი მეთოდები.
პედაგოგიური პერსონალი: პროფესორი ნატო ნაკუდაშვილი - დეპარტამენტის ხელმძღვანელი; ასოცირებული პროფესორი ირინე კეკელიძე; ასისტენტ-პროფესორი - მარინე ცაბაძე; ლაბორანტი - ვენერა დავითულიანი.